ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1015088

ნომერი: AR1179181

თარიღი : 21.11.2013

გაცემის თარიღი : 27.11.2013

გაცნობის თარიღი : 28.11.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 52 / ქალაქი თბილისი , რუსთავიდან თბილისში შემოსასვ ლელი გზის მარჯვენა მხარეს;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მირიან მდივანი პ/ნ 01024004078
- თბილისი, გოთუას ქ.#16, ბინა 109

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს მწვანე სახლი კოდი: 205128226

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა დემონტაჟი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს კანონმდებლობა სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობით სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, სივრცითი მოწყობის შესახებ კანონის და საქართველოში მოქმედი სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ადმინისტრაციულ –სამართლებლივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს. "საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" 2009 წლის 18 თებერვლის #104 საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით დაგეგმილია გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია–მოდერნიზაციის სამუშაოები, მათ შორის თბილისი–რუსთავის მონაკვეთის. ზემოაღნიშნულ მონაკვეთზე საპროექტო სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებულია გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარებაზე ნებართვის გაცემა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები, კერძოს არსებული შენობების დემონტაჟი და ახალი შენობების განთავსება ცდება I კლასის შენობა-ნაგებობის მახასიათებელს და საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.